ე რ ო ვ ნ უ ლ ი კ ო ნ გ რ ე ს ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპრეზიდენტო მოწოდება

მვირფასო თანამემამულენო!

საქართველოს მოქალაქეთა ღიგა მოძრაობაა საქართველოს მოქალაქეობის აღდგენისა და საქართველოს კონსტიტუციის ცხოვრებაში გატარებისათვის. საქართველოს მოქალაქეთა ღიგა აერთიანებს 100 000-ზე მეტ კაცს და ყოველმა მათგანმა უარი განაცხადა საბჭოთა კავშირის მოქალაქეობაზე. საქართველოს კონსტიტუციის 13-ე მუხლის თანახმად საქართველოს მოქალაქეს არ შეუძლია იმავე დროს იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე.

საქართველოს მოქალაქეთა ღიგამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ამა წლის 25 მარტს საბჭოთა არჩევნების ჩაშლაში. 23 თებერვალს დაწყებული აქციით შეგროვებული იქნა 100 000-ზე მეტი ხელმოწერა საბჭოთა არჩევნების ბოიკოტისა და უზენაესი საბჭოს ყველა საარჩევნო უბნის გაუქმების მოთხოვნით. საქართველოს მოქალაქეთა ღიგა ახლაც აქტიურ ბოიკოტს უცხადებს უზენაესი საბჭოს არჩევნებს და აცხადებს-უზენაესი საბჭო არასაბჭოურობის, მრავალპარტიულობისა და დემოკრატიულობის ნიღაბს ამოფარებული საბჭოთა ხელისუფლებაა. უზენაესი საბჭო არ არის საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პარლამენტი მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის ფარგლებში. უზენაესი საბჭო კი მოქმედებს საქართველოს სსრ კონსტიტუციის ფარგლებში და ვალდებულია აღიარის საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის უზენაესობა. საქართველოს კონსტიტუცია აბსოლუტურად გამორიცხავს რუსეთთან ფედერაციას, კონფედერაციას და რაიმე სამოკავშირეო ხელშეკრულებას. საქართველოს სსრ კონსტიტუცია კი აბსოლუტურად გამორიცხავს საქართველოს თავისუფლებას. საქართველოს მოქალაქეებს უფლება არა აქვთ მონაწილეობა მიიღონ უზენაესი საბჭოს არჩევნებში.

საქართველოს პარლამენტის რაობა მოცემულია საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მეოთხე თავში. საერთოდ პარლამენტური ბრძოლა ნიშნავს მოქმედებას ეროვნული კონსტიტუციის ფარგლებში. საქართველოს ერთადერთი ეროვნული კონსტიტუცია კი 1921 წლის კონსტიტუციაა. სამწუხაროდ საქმეში ჩაუხედავი ზოგიერთი პიროვნება პარლამენტურ ბრძოლად მიიჩნევს მოქმედებას საქართველოს სსრ კონსტიტუციის ფარგლებში. საქართველოს მოქალაქეთა ღიგა, ემყარება რა ეროვნულ კონსტიტუციას, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, აქტიურ ბოიკოტს უცხადებს უზენაესი საბჭოს არჩევნებს, მომხრეა ეროვნული პარლამენტის არჩევისა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს შეუძლებელია. ქვეყანა ოკუპირებულია. ეროვნულ მოძრაობაში მოქმედებენ დესტრუქციული ძალები და მოსახლეობაც ჯერ-ჯერობით გაუთვითცნობიერებელია.

30 სექტემბერს დანიშნულია ეროვნული კონგრესის არჩევნები. საქართველოს მოქალაქეთა ღიგა ეროვნული კონგრესის არჩევნებში წარმოდგენილია მეექვსე ბლოკის სახით. მიუხედავად ეროვნულ კონგრესში მონაწილეობისა, საქართველოს მოქალაქეთა ღიგა კონგრესს არ ანიჭებს გადამწყვეტ მნიშვნელობას. საქმე ის არის, რომ ეროვნულ მოძრაობაში აქამდე არსებული ალტერნატიული არჩევნების ბრწყინვალე იდეა, ღიბერალური ძალების დაწოლით, ეროვნული კონგრესის სახით დევალვირებული იქნა ალტერნატიული არჩევნებიდან პარალელურ არჩევნებამდე. საქართველოს ეროვნული მოძრაობის ძირითადი მიზანი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გაუქმება, სახელმწიფოებრიობის აღდგენაა. ეროვნულმა მოძრაობამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში იურიდიულად გაანადგურა საბჭოთა ,ხელისუფლება. მოგეხსენებათ ამა წლის 25 მარტს ბოიკოტირებული იქნა უზენაესი საბჭოს არჩევნები. უზენაეს საბჭოს გასული აქვს უფლებამოსილების ვადა და თუ საქართველოს მოსახლეობა 28 ოქტომბერსაც არ აირჩევს უზენაეს საბჭოს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება გაუქმებული იქნება. მაგრამ როგორც ირკვევა ამ მისიისათვის ეროვნული კონგრესი სავსებით გამოუსადეგარია. მიმდინარეობს კონგრესის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო ბლოკების მკვეთრი ღიბერალიზაცია. მეორე ბლოკი "დემოკრატიული საქართველო", მეოთხე ბლოკი "საქართველოს სახალხო პარტია" და მეხუთე ბლოკი"კომუნისტური პარტიის დემოკრატიული ფრაქცია" პარალელურად მონაწილეობენ უზენაესი საბჭოს არჩევნებში. ამის გარდა პირველ და მესამე ბლოკებში გაერთიანებული წამყვანი რადიკალური პარტიები ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია საბჭოთა არჩევნები სადმი აქტიური ბოიკოტის პოზიციას იცვლიან პასიური ბოიკოტის პოზიციით. ასე რომ, საბჭოების პირისპირ რჩებიან მხოლოდ მეექვსე ბლოკი საქართველოს მოქალაქეთა ღიგა და მესამე ბლოკის მცირე ნაწილი. ამგვარ სიტუაციაში საქართველოს მოქალაქეთა ღიგა იძულებულია ნაკლები ყურადღება დაუთმოს ეროვნული კონგრესის არჩევნებს და მთელი ძალისხმევა საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაზე გატაიტანოს. როგორც სჩანს ეს ბრძოლა ეროვნული კონგრესის გარეთ იწარმოებს და არც არის გამორიცხული რომ ეროვნული კონგრესი უზენაეს საბჭოს კი არა რადიკალურ ოპოზიციას დაუპირისპირდეს. ეს ტენდენცია უკვე შენიშნება საკოორდინაციო ცენტრში. საქართველოს მოქალაქეთა ღიგას ეროვნულ კონგრესში დეპუტატები სჭირდება საერთო კოორდინაციისათვის და უკვე შორს არის იმ აზრისაგან რომ საქართველოს თავისუფლების გზა ეროვნულ კონგრესზე გადის.

კონსტიტუცია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს მოქალაქეებისაგან აუცილებლად მოითხოვს საბჭოთა კავშირის მოქალაქეობის უარყოფას. საქართველოს კონსტიტუცია ასევე კრძალავს უზენაეს საბჭოში მონაწილეობას. ასე რომ თუ ეროვნული კონგრესი მირღებს 1921 წლის კონსტიტუციას, მაშინ ეროვნული კონგრესის წევრები იძულებულნი გახდებიან უარყოფ საბჭოთა კავშირის მოქალაქეობაცა და უზენაესი საბჭოს დეპუტატობაც. ამგვარი განწყობილება კი საკოორდინაციო ცენტრში არ შეიმჩნევა.

P 11775

ეროვნული ბიბლიოთეკა

n53/355

საქართველოს მოქალაქეთა ლიგა აცხადებს, რომ თუ საქართველოს მოსახლეობა და მისი ეროვნული მოძრაობა მყარად დადგება საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოზიციებზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ახლავე შესაძლებელი. ყველა სხვა წინაპირობა ამისათვის უკვე მომწიფებულია.

საბჭოთა კავშირი უკვე იძულებულია ანგარიში გაუწიოს საერთაშორისო სამართალს, და თმობს ყველაფერს, რის შენარჩუნებაც მას სამხედრო ძალის გარდა სხვა საშუალებით აღარ შეუძლია. კრემლმა უკვე დასთმო ალბანეთი ვენგრია, ჩეხოსლოვაკია, ფინეთი, ბალტიისპირეთი, თმობს ჩრდილოეთ კორეას. რაც შეეხება კავშირში შემავალ "მოკავშირე რესპუბლიკებს", მოსკოვმა საქართველოს გარდა ყველა დანარჩენ რესპუბლიკაში შესძლო "პერესტროიკის" პოლიტიკის გატარება და საიმედო ადგილობრივი საბჭოთა რეჟიმების შექმნა, რომლებიც სამხედრო ძალის გარეშეც ინარჩუნებენ ამ "რესპუბლიკებში" საბჭოთა ხელისუფლებას. საქართველოში კი სავსებით განსხვავებული მდგომარეობაა. კრემლმა საქართველოში ვერ შეძლო ისეთი მასშტაბური ეთნიური კონფლიქტების გაღვივება როგორც აზერბაიჯანსა და სომხეთში. დაუსჯელად ვერ შესძლო სახედრო ძალით ხალხის ტერორიზება ისევე როგორც ბაქოში, 9აპრილის მშვიდობიანი აქციის დარბევა კრემლს მწარედ შემოუბრუნდა და იძულებული გახდა სასწრაფოდ მოეხსნა კომენდანტის საათი.

საქართველოში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, კრემლს არ გაუმარილა სახალხო ფრონტმა. საქართველოში "პერესტროიკა" გორბაჩოვს რეალურ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად შეუბრუნდა. უზენაესი საბჭოს არჩევნები ბოიკოტირებული იქნა. ახლა საჭიროა მხოლოდ ამ საქმის ბოლომდე მიყვანა. 26 ოქტომბერსაც საქართველოს მოსახლეობამ საბჭოთა არჩევნების ბოიკოტით უნდა გამოხატოს საბჭოებისადმი უნდობლობა და თავისუფლების ნება. საქართველოში უნდა გაუქმდეს საბჭოთა ხელისუფლება და სახელმწიფო სტრუქტურები საქართველოს ეროვნული კონსტიტუციით უნდა მოეწყოს.

საქართველოში მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა დამოუკიდებლობის მომხრეა. სასებით გაკოტრებულია სოციალიზმის, კომუნიზმისა, ფედერაციისა თუ კონფედერაციის იდეები: მხოლოდ ისღა რჩება რომ ერმა თავისი პოლიტიკური ნება სამართლებრივი აქტით გამოხატოს. მთავარია ხალხი არ მოტყუვდეს და თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ ხმა საქართველოს თავისუფლების ნაცვლად საბჭოთა ხელისუფლებას არ მისცეს. ხალხის მოტყუება და გაბრიყვება კომუნისტურ პარტიას აღარ შეუძლია. მას სავსებით აქვს დაკარგული ნდობა და არავინ დაუჯერებს, მაგრამ საშიშროება მაინც ძალზედ რეალურია. საქმე ის არის რომ 9 აპრილის შემდეგ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება გორბაჩოვმა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს გივი გუმბარიძეს ჩააბარა. ამ უკანასკნელმა კი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მეთოდებით მუშაობა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აიყვანა. დაიწყო ეროვნული მოძრაობის ლიდერთა პროვოცირება, ურთიერთდაპირისპირება, საბჭოების მხარეზე ფარული თუ აშკარა გადაბირება, საბჭოებთან გარიგებები და სხვა ყოვლად მიუღებელი პროცესები, რომლებიც ყოველისმომცველი გახდეხ. ამას მოხმარდა მილიონები რომლებიც სახელმწიფო ანაკლებიდან დაიჭრა ეროვნული მოძრაობის პროვოცირებისათვის. ამ სავალალო პროცესში უხეშლიად და გაუთვითცნობიერებლად იქნა ჩათრეული მრავალი პატრიოტიც. ერთი სიტყვით მთელი დარტყმა ეროვნული მოძრაობის სადავეებზე ტოვდა. გუმბარიძე ცდილობს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების რეამინაციას. ამისათვის იგი წავიდა წარმოუდგენელ ავანტიურაზე სახალხო ფრონტის ფუნქციები რადიკალურ ოპოზიციას დააკისრა და თუ ეს ავანტიურა გაჭრის ეროვნული მოძრაობა მოსახლეობას თავისუფლების ტაძრის ნაცვლად "პერესტროიკამდე" მიიყვანს.

საქართველოს მოქალაქეთა ლიგა ამ ძნიმე პროცესში თავის თავზე იღებს უზენაესი საბჭოს არჩევნების შეცდომაში ბოიკოტის ორგანიზატორის როლს. იგი იმედს გამოთქვამს რომ თავისუფლების მოსურნე ქართველი ხალხის უმრავლესობა ხმას არ მისცემს საბჭოთა ხელისუფლებას, ხოლო რადიკალურ პოლიტიკურ ორგანიზაციათა უმრავლესობა დაუჯერებელია რომ არ გამოერკვეს და საბჭოთა არჩევნების ბოიკოტის პოზიციაზე არ დადგეს.

საქართველოს მოქალაქეთა ლიგა 27 ოქტომბერს დილის 10 საათზე თბილისში თავისუფლების მოედანზე იწყებს საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო დიდ აქციას და მოუწოდებს ყველა პატრიოტს თანადგომისაკენ.

საქართველო ბეწვის ხიდზე დგას. ძნელი საქმეა თუ საით დატრიალდება ძისი ბედის ბორბალი თავისუფლებისა თუ "პერესტროიკისაკენ". ეს კი ყოველ. ქვეყანაგანხეა დამოკიდებული. დადგა იმისი დრო როცა ძნელი გასარკვევია თუ ვის გავყვეთ და ვის დაუჯეროთ. ამიტომ ყოველმა მოქალაქემ თავად უნდა გახსაჯოს პოლიტიკური მოძღვნტები, ძიჰყვეს არა ავტორიტეტებს არამედ საქართველოს უზენაეს კანონს-ეროვნულ კონსტიტუციას მიღებულს 1921 წლის 21 თებერვალს. ეუფლდარი მხოლოდ ეროვნული კონსტიტუციაა. ეროვნული დროშაც ამ კონსტიტუციის სიმბოლოა და მის ფეოდან ფუნდში ხაფეავა-ძია: საქართველოს რესპუბლიკის დროშა -არის შვიდფისფერი ალამი შავი და თეთრი ზოლითა. ამ დროშამ საქართველოს თავისუფლებისათვის უნდა იფრიალოს და არა პერესტროიკისათვის, როგორც ახლა ამ ბოლო დროს აჩვენეს ქართველ ხალხს.

საქართველოს მოქალაქეთა ლიგა მოუწოდებს ყველა პატრიოტსა და პატრიოტულ პოლიტიკურ ორგანიზაციას გულდასმით გაეცნონ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციას და თავისუფლებისათვის ბრძოლაში ამ კონსტიტუციით იხელმძღვანელონ. შეგახსენებთ რომ ამ კონსტიტუციას უკანასკნელ დრომდე კომპარტია თავის არქივებში მაღავდა და იგი ცნობილი არ იყო ეროვნული მოძრაობისათვის. პარტიებმა და პოლიტიკურმა საზოგადოებებმა თავიანთი პროგრამები საქართველოს კონსტიტუციის გაუთვალისწინებლად შექმნეს და ახლა აუცილებელია ყველა პროგრამასა და წესდებაში კონსტიტუციური შესწორებების შეტანა. მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას შეუძლია ეროვნული მოძრაობის გაერთიანება, სწორ გზაზე დაყენება და ყველა ანომალიის ამოძირკვა.

გაუმარჯოს საქართველოს ეროვნულ დროშას! გაუმარჯოს საქართველოს კონსტიტუციას! გაუმარჯოს დამოუკიდებელ, თავისუფალ და კონსტიტუციურ საქართველოს!

P.S.

საქართველოს მოქალაქეთა ლიგის დევიზია "ერი, რომელიც იბრძვის თავისუფლებისათვის, მოიპოვებს თავისუფლებას!" ხმა მიეცით საქართველოს მოქალაქეთა ლიგას ეროვნულ კონგრესში! საქართველოს მოქალაქეთა ლიგისათვის ხმის მიცემა ნიშნავს ხმის მიცემას კონსტიტუციისათვის.